ISSN 0132—5965

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამალი ვარ სანაქებო,
სიზარმაცე არ მაქვს წესად.
მე ბუნებამ საგანგებოდ
დილის მაცნედ გამამწესა.
მოგილოცავთ, პატარებო,
ამ ფრთებნათელ ახალ წელსა!
ყიყლიყოოოო!

**გივი ჭიჭინაძე**

572/1989/2
72/572/2



1989 იანვარი №1

# დილა

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ცირა ქიტიაშვილი

თქვენკენ მოვეშურები,
აბა, ჰერი, მარხილო,
მოვალ, — ახალი წელი —
საამოდ და სალხინოდ.
მინდა დიდი სიკეთე,
მშვიდობის ცა ნათელი,
გაზრდა, ბედნიერება
ყველა კარგი ქართველის.

### გიორგი წერეთელი

მოგიტანეთ ხურჯინით
საჩუქრები ახალ წლის,
ორივ თვალი სავსეა
პაპას ნაშრომ-ნაღვაწით,
ბებოს წვლილიც აქ არის,
ტოლს არ უდებს პაპას წვლილს, —
გოზინაყიც, ჩურჩხელაც
ჩაშაქრული ბადაგში,
ნაბდის ქუდიც, წინდებიც,
წიგნი ყალმით ნახატი...
გაიხარეთ, ბავშვებო,
ბედნიერი ახალ წლით.



19037

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ზურაბ კუხიანიძე**

ვარჩევდი და თან ვფიქრობდი,
უფრო თუ რა გჭირდებათ
საახალწლო ნაძვის ხეზე
კოხტად დასაკიდებლად:
ვერცხლის წვიმა მოკამკამე,
ბურთები და გირჩები...
მაგრამ ვთქვი, რომ ამგვარ რამეს
სხვებიც ამოგირჩევენ.
მერე ბევრი, მერე ბევრი
ფიქრით აღარ ვიწვალე —
თქვენი მოსაფერებელი
ლექსი გამოგიგზავნეთ.

**შოთა ამირანაშვილი**

მე საჩუქრებს არ მოვაკლებ
თქვენისთანა ემაწვილებს,
ახლავ ხურჯინს გადმოვიღებ,
ყველას გაგინაწილებთ!

მხატვარი **მანანა მორჩილაძე**

**რევაზ ინანიშვილი**

# ჩვენი ქოხის ბანი

მხატვარი **ედუარდ ამბოკაძე**

ბიბლიოთეკა

პატარა ვიყავი, ალბათ, ხუთი წლისა. დედამ და ბებიამ თბილისში წამიყვანეს მამიდასთან, იქიდან ვიღაც ექიმებთან დავყავდი. ექიმებთან სიარული, რა თქმა უნდა, მემკვლელლებოდა, მათგან წამოსვლა კი მახარებდა. აღტაცებული ვუყურებდი დიდ, გაბრდღვიალებულ სახლებს, უბედნიერეს ადამიანებად მეჩვენებოდნენ იმ სახლებში მცხოვრებლები.

მამიდა ეფემია კი მიწისპირა პატარა შუშაბანდიან, პატარა ბნელ ოთახში ცხოვრობდა — ქმრით, სამი შვილით. ქმარი კეთილი დურგალი ჰყავდა, მაღალი, დიდი. იმ ხანებში მამიდას მულიც მათთან იყო. მაინც ვეტეოდით ყველანი, მხიარულადაც კი, განსაკუთრებით სუფრასთან და ღამით, დაწოლის წინ.

ჩამკიდა ხელი ერთ დღეს ბებიამ და წამიყვანა მეორე მამიდასთან, ვარინკასთან. ვარინკა მამიდა ქვრივი იყო, მასაც სამი შვილი ჰყავდა, ისინი უფრო დიდები. მაღალს, ძალიან გამხდარს, საოცრად მეტყველი დიდი, მრგვალი თვალები ჰქონდა, ისეთი მოფერება იცოდა, თითქოს დნებოდა, რომ მეფერებოდა. პირველად მივდიოდი ქალაქში მათთან.

ბებიამ რაღაც პატარა ტრამვაიში ჩამსვა. იმ ტრამვაიმ ზარის რეკვითა და ღრჭიალღრჭიალით სადღაც მთლად გადახრიოკებულ გორებში აგვიყვანა. სულ ბოლო გაჩერებაზე ჩამოვედით. ტრამვაი არ მობრუნებულა, ბუგელი მოუბრუნეს თოკით, ცოტა ხანს იდგა და მერე მხიარული ჩხარუნით დაეშვა ქვემოთ. ჩვენ მოუკირწყლავ ყვითელ ქუჩას ავყევით, ყვითელი სულ ხმელი თიხა იყო. ქუჩის სავალ ნაპირას კუზებად ქცეული ნაფეხურები ამწკრივებულიყო. ბებიას ჩიხტიკოპი ეხურა, გრძელი შავი კაბა ეცვა, იმ ნაფეხურებზე გადაბიჯება უჭირდა, მეც მიჭირდა, ამიტომ მე ქვემოთ, კორჩხლებზე ვამჯობინებდი სიარულს.

ქუჩის აქეთ-იქით სულ პატარა სახლები იდგა, ზოგი კირით გათეთრებული, კარ-ფანჯარა ლურჯად შეღებილი, ზოგი ისევე დატოვებული, როგორც აეშენებინათ თიხით. სახურავებიც ჰქონდათ ამ სახლებს, ზოგს კრამიტის, ზოგს ტოლის, ზოგს სხვადასხვა ზომისა და ფერის თუნუქის, შემოღობილებიც ჰქონდათ ეზოები — ფიცრებით, ნაგვერდულებით, რკინებით, მავთულებით. ხეებიც ედგათ სახლების წინ და აქეთ-იქით. ხეებს ფოთლები გაჰყვითლებოდათ და სცვიოდათ. ეს მსიამოვნებდა, მით უფრო — ყვითელი ფოთლები ჩვენს გზაზე რომ ეყარა. კიდევ — კვირიონები რომ კუთავდნენ სადღაც მოწმენდილ, დიდ ლურჯ ცაში.

ავედით სულ მაღლა. იქ უფრო პატარა სახლები იყო, ნამდვილი ქოხები. შევაღეთ ერთი პატარა კუტი კარი, წინ გავუარეთ თითქმის მიტყუპულ ორ მოზრდილ ქოხს, მივადექით მთლად პატარას, მთლიანად თიხით დადგმულს, თიხისავე ბანიანს. ბებიამ შეაღო კარი — მოდიო, შენ შედიო. მე შევცბი, უკან დავიწიე, ბებიამ ხელი მომკიდა, უსიტყვოდ შემომევედრა, მეტი გზა არ იყო, დაკოხილი შევედი.

დამინახა მამიდამ, დადიდებულმა ბრდღვიალა თვალებმა თითქოს მაღლა წაიღეს, — ჩემო სიხარულოო, ჩემო მზის შუქოო, ჩემო ბედნიერების წყაროო, — წამოფარფატდა, დაიწია, მიმიკრა, მიმიხუტა, მკოცნიდა —





სად აღარა! მომეხვივნენ მამიდაშვილებიც. ახლა იმათ მკოცნეს, ამიყვანეს, გამაგორეს საწოლზე, მაინც დავინახე, როგორ ეფერებოდა მამიდა ახლა ბებიას, ერთსაც ცრემლები ჩამოსდიოდა, მეორესაც. ვხედავდი ჭერსაც, წვიმაჩამოსულ ადგილებს, ზედ მიკრულ სხვადასხვა ზომის ქაღალდებს. მეც სატირლად ვიყავი მზად, ჩემი უსაყვარლესი მამიდაშვილი ვანო კი, რვა წლით უფროსი ჩემზე, მიღიტინებდა და მაცინებდა. მიღიტინებდნენ ფეხის გულებზე გოგოებიც. ჩაგვიდგა ბებია, — მაგისათვის ეგენი არ შეიძლებაო, არ შეიძლებაო! გაიწიეს ვანომაც და გოგოებმაც. წამოვჯექი, ჩამოვუშვი საწოლიდან ფეხები ძირს. იქ დაიჩოქეს ვანომაც და გოგოებმაც, მელაპარაკებოდნენ, მეალერსებოდნენ.

მამიდას ცრემლები მოეწმინდა, გაღიმებული იდგა ნავთქურასთან. ნავთქურაზე ხალი ფაფა ბერავდა ძუძუკებს, ისროდა ცხელ წინწკლებს, მამიდა აჩქარებით ურევდა ხის კოვზით, თან ამბობდა: — სიდედრს ეყვარება ჩვენი ბიჭი, აი, ახლა უნდა დავმსხდარიყავით სადილადაო! — გამოხედა გოგოებს, — აბა, გოგოებოო! გოგოებმა სწრაფად გამოიღეს მათლაფები მაგიდის ქვემოდან, მამიდა ავსებდა მათლაფებს და გოგოები დგამდნენ მაგიდაზე. იქ ფაფა უკვე მშვიდი იყო, აღარ ბრაზობდა, წინწკლებს აღარ ისროდა. მაგიდის შუაში ჩადგეს პური, მწვანილი, ცოტა ყველიც. ახლა საჭირო იყო ფაფის ამოღრმავება, შიგ ერბოს ჩადება. ერბოც აღმოაჩნდა მამიდას, ისიც ჩადეს თეფშით. მამიდამ იკითხა:

— რეზიკო სად დავსვათო?

— რეზიკო ბანზეო. — დაიძახა ჩემმა საყვარელმა ვანომ. ყველას გაეცინა.

— მაშა, მაშაო, — მამიდამ, — სანეფო ადგილასაო!

— არა, ბანზეო! წესი ეგრეა, სტუმარი ბანზეო! — გაჯიუტდა ვანო.

— აი, იქ დაუდეთ მუთაქაო! — საწოლის თავისკენ გაიშვირა ხელი მამიდამ.

— არა, ბანზეო. — იძახდა ვანო.

მე გაშტერებული ვიდექი აქამდე. ახლა წავედი, ბანზე მივდიოდი, გამოვაღე კარი. წამომწვდნენ, შემაჩერეს. მე მაინც გარეთ მივიწევდი, ვტიროდი და ფეხებს ვიქნევდი. ყველანი მეხვეოდნენ, ვინ როგორ მეფერებოდა! — განა მართლაო, ე, ძმაკაცოო, — მიგურგურებდა ვანოც. მაგრამ ვერ მაწყნარებდნენ, — გამიშვით მე ბანზე! დამსვით ბანზე! დამსვით მე ბანზე-მეთქი! ხან მე მიყურებდნენ შეშფოთებით, ხან ერთმანეთს.

ბოლოს, როგორც იქნა, მაინც დავწყნარდი. ფაფაც მაჭამეს, ძალიან გემრიელი ხალიფაფა.

შეშფოთების რაღაცნაირი ბინდი კი მაინც ბრუნავდა ჩვენს შორის...

შემაშფოთებელი კი არაფერი იყო ჩემს საქციელში მაინც.

მე მართლა მივდიოდი ბანზე. მე, ბოღმით აღვსილი ეფემია მამიდას პატარა ბნელი ოთახით, თავზარდაცემული ვარინკა მამიდას მთლად პატარა ქოხითა და თიხის ყვითელი ბანით, რომელიც რამდენიმე ადგილას ატარებდა წვიმას, თან თვალებს ვხუჭავდი, არ მინდოდა მათი დანახვა, მაგრამ თან მაინც ავადმყოფი ლექსებივით ვეძახდი ჩემსკენ. უკვე ჩემიც იყო ეს ორივე, ეფემია მამიდას პატარა ბნელი ოთახიც და ვარინკა მამიდას საცოდავი ქოხიც. და მე მზად ვიყავი, ავსულიყავი და დავმჯდარიყავი ამ ჩვენი ქოხის, ჩვენი მოდგმის ქოხის ბანზე.

და თუ ცრემლები ჩამომივიდოდა ცოტა, ეს ცრემლები უნდა ეპატიებინა ყველას.

ღებულობენ ასეთ გადაწყვეტილებას ბავშვებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ პიესა-ზღაპრის მოქმედი პირნი არიან, ჯერ ერთი, ზღაპრის მთხრობელი — მესტვირე; მერე: პაპა გიორგი, ჭაბუკა და ჯარჯი... კიდევ — ნადირობის ქალღმერთი დალი და, ცხოველ-ფრინველები, რომლებსაც ის მფარველობს: ფურირემი, მტრედი, სირაქლემა, ჯიქი, თეთრი დათვი, ფოცხვერი, ზებრა, კუ, ზღარბი, ციყვი, ლომი, ვეფხვი, დათვი, მგელი და მელა.

# ჯარჯი და ირემი

**ოთარ მამფორია**



## I მოქმედება

მთხრობელი – ცისკრის ვარსკვლავი ცაში ანთია
და ტყე შრიალით ხვდება განთიადს.

ჭაბუკა – ჯარჯი, ხედავ, იქ, წყაროსთან, ირემს?

ჯარჯი – დაუმიზნე, თუ ხარ მონადირე!

ჭაბუკა – არა, ჯარჯი, ირემს როგორ მოვკლავ,
მაშინ დამრჩეს პაპას თოფი ოხრად!

ჯარჯი – მე კი, ძმაო, არ მაქვს მოცდის ძალი.

ჭაბუკა – არ ესროლო, განრისხდება დალი!

მთხრობელი – ჯარჯი მაინც შეიმართა უმალ
მიუშვირა ირემს თოფის ლულა.
...მოფათქუნდა თეთრი ფრთებით
და ლულაზე დაჯდა მტრედი.

მტრედი – არ ესროლო ირემს, კარგო ბიჭო,
მაგის ნაცვლად მგელი მოკლა, გიჯობს!

მთხრობელი – ჯარჯი მაინც ესვრის ლამაზ ირემს,
წმინდა სისხლი დასდის მთის ყვავილებს.

მტრედი – საძაგელო, აბა, ეს რა ჰქენი,
რად აღმართე ლაღ ირემზე ხელი!
ავფრინდები თვით ღრუბლებზე მაღლა,
რაც მოგივა, მერე თვითონ ნახავ!

მთხრობელი – მრისხანებით დაიქუხეს მთებმა,
შურისგებით აგრიალდა მეხი,
და ზეციდან, ვით მრისხანე ელვა,
გადმოეშვა ნადირობის ღმერთი.

დალი – ნადირობის ქალღმერთი ვარ, დალი,
მტრედმა მამცნო ახლა ეს ამბავი.
ვინც ესროლა ამ უწყინარ ირემს,
შემირისხავს მე ის მონადირე!

ჯარჯი – ჩვენ რა ვიცით, აბა, ჩვენ რას გვერჩი,
ჩვენ სოკოსთვის შემოვედით ტყეში.

დალი – თოფი დადე, უკეთურო ბიჭო,
მკვლელი ხარ და აბა, სხვა რა გქვია!
ირემს მკერდში მოხვედრია, ხედავ?
მაგ თოფიდან გასროლილი ტყვია.

ჯარჯი – თოფი ჩემი არ არი,
თოფი ჩემი ძმისია.

დალი – რატომ სდუმხარ, ჭაბუკა,
ვიცი, შენ არ გისვრია.

ჭაბუკა – თუ ძმას მარცხი მოელის,

ეროვნული ბიბლიოთეკა



მე დამსაჯო, სჯობია.
ნადირობის ქალღმერთო,
ჰო, ეს ჩემი თოფია.
დალი — ეს თოფი არც შენია
და არც შენი ძმისია,
ჯურხაიძე გიორგის
მჭექარ თოფად მიცვნია.
ჰაპათქვენი ცნობილი
მონადირე კაცია.
მისი თოფი ვინ მოგცათ,
ალბათ, მოგიტაცნიათ.
ჯარჯი — არაფერი არ ვიცი,
მთაში ვახლდი ცხვრის ფარას,
პაპაჩემის ეს თოფი
ჩემმა ძმამ მოიპარა.
დალი — ირმის მკვლელიც ხარ, ძმის მოღალატეც
და იმსახურებ უმკაცრეს სასჯელს.
ამ უღრან ტყეში დაგტოვებ მარტო,
სადაც ნადირი ულმერთოდ დაგგლეჯს!
ჯარჯი — ვაი, ეს რა დამემართა,
აღარ ვიზამ აწი.
ჭაბუკა — შეიბრალეთ, ნუ დაღუპავთ
გამოუცდელ ყმაწვილს!
ჯარჯი — ჩემს ძმას ნუღარ დამაცილებ,
ნუ დამტოვებ კენტად.
ჩვენ ორთავეს გველოდება
ცრემლიანი დედა!
დალი — და ასევე მოკლულ ირემს
ელის დედამისი.
შენ კი ულვთოდ დაგიღვრია
მისი წმინდა სისხლი.
შენ, ჭაბუკავ, ჩემთან წამო,
ჯარჯი ტყეში დარჩეს,
ეს სასჯელი გაკვეთილად
ჰქონდეს ბოროტ ბავშვებს!
მთხრობელი — დალის მიჰყავს ჭაბუკა და
ჯარჯი რჩება ტყეში.
შიშისაგან დაზაფრული,
მარტოდმარტო კვნესის.
ჯარჯი — ეს რა დამემართა,
ეს რა მიყო დალიმ.
ღმერთო, მომცა ნეტავ
ერთი წვეთი წყალი!
მთხრობელი — მოფათქუნდა თეთრი მტრედი უცებ
და ესროლა ბიჭს წერილი დედის.
ჯარჯი — (წერილს კითხულობს)
„რად დაღვარე, ჩემო შვილო,
ირმის წმინდა სისხლი!
რად გატეხე უწმინდესი
მონადირის ფიცი!
ირმის დედაც გაამწარე,



მხატვარი **ლალი ლომთაძე**

გულიც — შენი დედის,
ასე რატომ განარისხე
ნადირობის ღმერთი!“

ᲛᲗᲮᲠᲝᲑᲔᲚᲘ — ჯანმიხდილი ჯარჯი ბორგავს,
ცრემლი წვეთავს თვალზე.
შვილმოკლული ირმის დედა
დაადგება თავზე.

ᲤᲣᲠᲘᲠᲔᲛᲘ — რა მოგსვლია, საცოდავო ბიჭო!
მწარედ ტირი, თვალსაც ვეღარ ახელ!
შიმშილისგან დაგიკარგავს ფერი,
წყურვილისგან გაგშრობია ბაგე!

ᲛᲗᲮᲠᲝᲑᲔᲚᲘ — ჯარჯიმ უცებ გაახილა თვალი.

ᲯᲐᲠᲯᲘ — წყალი, წყალი, წყალი!

ᲤᲣᲠᲘᲠᲔᲛᲘ — აჰა, სწოვე ჩემი ძუძუ,
და წყურვილი დაგიცხრება,
შვილი ამით გამოვზარდე,
თუმც მომიკლა კაცის ხელმა,

ᲛᲗᲮᲠᲝᲑᲔᲚᲘ — ჯარჯი ძუძუს დაეწაფა,
ამოიდგა ენა სწრაფად.

ᲯᲐᲠᲯᲘ — რაო, რა თქვი? შვილი არ გყავს?

ᲤᲣᲠᲘᲠᲔᲛᲘ — ჰო, მომიკლეს სისხამ დილით...
ჩემი ძუძუ რადგან სწოვე,
გახდი ჩემი შვილობილი.

ᲯᲐᲠᲯᲘ — როდის მოჰკლეს შენი შვილი?

ᲤᲣᲠᲘᲠᲔᲛᲘ — გუშინ დილით უთენია.

ᲯᲐᲠᲯᲘ — შენ თვით ნახე, მკვდარი იყო?
იქნებ დარჩა ტყეში ღამე!

ᲤᲣᲠᲘᲠᲔᲛᲘ — მიწა რქებით გავუთხარე
და სამარეს მივაბარე.
აჰა, ტყვიაც, შვილის მკერდში
ვიპოვე და დამაქვს ჩლიქით.
ო, ასეთი მწუხარება
ცხრა მთას იქით, ცხრა მთას იქით!

ᲯᲐᲠᲯᲘ — მე ცოდვა მაქვს, დიდი ცოდვა,
გინდა, მომკალ შენის ხელით.

ᲤᲣᲠᲘᲠᲔᲛᲘ — რაა, შვილო, შენი ცოდვა?

ᲯᲐᲠᲯᲘ — მე ვარ შენი შვილის მკვლელი.

ᲤᲣᲠᲘᲠᲔᲛᲘ — თუ ასეა, ჩემი ძუძუ
არ შეგერგოს, გექცეს შხამად.

ᲯᲐᲠᲯᲘ — ნუ დამწყევლი, ირმის დედავ,
დაბადებით მკვლელი არ ვარ.
აჰა, გქონდეს ჩემი თოფი,
სამუდამოდ ის შენია,
ვიდრე ნადირი დამგლეჯდეს,
აქ რომ მომკლა, მირჩევნია!

ᲤᲣᲠᲘᲠᲔᲛᲘ — მე რომ მოგკლა, შენი დედის
მომემატოს კიდევ სევდა?!
ქვეყანაზე რატომ იყოს
ორი უბედური დედა!

ᲯᲐᲠᲯᲘ — სად მიდიხარ! რატომ მტოვებ!
ნუთუ აღარ გეცოდები?!
ჩემი ცოდვით, სიბრალულით
ჩამოსცვივდა ხეს ფოთლები.

ᲤᲣᲠᲘᲠᲔᲛᲘ — თუმცა დედა შვილის სიკვდილს
ვერასოდეს ურიგდება,
მკვლელი მაინც არ გავხდები,
მე არ ვიცი შურისგება.
რაც დაგწყევლე, შემინდვია,
თუმცა არ ხარ ამის ღირსი,
არასოდეს დაგეღვაროს
უცოდველი ირმის სისხლი.

ᲯᲐᲠᲯᲘ — ნუ დამტოვებ, ნუ დამტოვებ,
ტყეში მარტო ვერ დავრჩები!

ᲤᲣᲠᲘᲠᲔᲛᲘ — აბა, მე რა შემიძლია,
ჩემს თავსაც კი ვეღარ ვშველი,
თუმცა ძლიერ მეცოდება
უბედური დედაშენი.



(გაგრძელება იქნება)



# პატარა მეკვლე

**როსტომ ელანიძე**

ახალი წლის დილით ადრე
მეკვლედ მიდის ბიჭი გელა!
ბიძას უნდა დაულოცოს
საახალწლო ჭერი, კერა...
ახალი წლის სისხამ დილით
ციდა მეკვლეს მიაქვს კვალი!
მივიდა და მიაძახა:
— მასპინძელო, გახსენ კარი!
მეკვლედ მოველ, გულით გლოცავთ,
სულ სიმრთელით დაესწარით,
გარჯამ უხვი საზრდო მოგცეთ,
ზღვისოდენი დადგეს ხვავი,
ჭირნახული მოგიმრავლოთ,
ეზო-კარი დაეფაროს,
ვენახ-ხეხილს ისე ესხას
ტოტები მირს დაეხაროს,
რომ მტერს თვალი დავსებოდეს,
მოყვარეს კი გაეხაროს!
აიშალა დიდ-პატარა...
საჩუქრები მრავალგვარი...
ლეღვის ჩირი, ატმის ჩირი,
ჩურჩხელების დადგა ხვავი...
საჩუქრებით დატვირთული
რომ დაბრუნდა სახლში გელა,
როგორ შეხვდნენ მასპინძლები, —
სიხარულით გაიხსენა!

მხატვარი **თამაზ ხუციშვილი**

# გოცო და ბვანცა

## მოგზაურობა ისტორიაში

ავტორი — გია ლაფაური

## არაბები საქართველოში (1335 წლის წინათ)

VII ს მეორე ნახევრიდან საქართველოს საზღვრებთან გა-მოჩნდნენ არაბი დამპყრობლე-ბი, რომლებიც ამ დროისათვის უკვე ბატონობდნენ ახლო აღ-მოსავლეთის ქვეყნებში. რამ-დენიმე შეტაკების შემდეგ ქართველებმა ზავი დადეს არა-ბებთან და ხარკის გადახდა იკის-რეს, თუმცა აჯანყებები არ ცხრე-ბოდა. არაბებმა გადაწყვიტეს ქართველთა სამაგალითო დასჯა და 120 ათასიანი ლაშქრით შემოუ-სიეს სისასტიკით განთქმული სარ-დალი მერვან იბნ-მუჰამედი, მეტ-სახელად „მურვან ყრუ". ეს იყო 735 წელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა





# პეპელა და მისი ჩრდილი

ერლომ ახვლედიანი

მათე იმ დღეს თავის თავზე ათჯერ უმცროსი იყო. მან თბილ ქართულ პურზე კარაქი წაუსვა, ხოლო კარაქზე — თაფლი, და ჭამა-ჭამით ეზოში ჩავიდა.

თაფლი თვითნებობდა! ხან ერთი მხრიდან ცდილობდა გადმოღვრას, ხან მეორე მხრიდან. მათე ცდილობდა, თაფლი არ დაღვრილიყო, რადგან იცოდა, რა უსიამოვნების მოტანა შეეძლო ერთ წვეთ თაფლსაც კი.

მაგრამ ერთი წვეთი თაფლი მაინც დაეცა მოლზე. მათეს ეს არ შეუმჩნევია.

და მოხდა ისეთი რამ, რასაც არავინ მოელოდა.

მოფრინავდა თეთრი პეპელა და ქვევით, მოლზე უდარდელად მოფარფატებდა მისი შავი ჩრდილი. პეპელამ როდესაც იმ ადგილს გადაუფრინა, სადაც თაფლის წვეთი დაეცა, მისი ჩრდილი თაფლს მიეკრა.

პეპელამ ეს ვერ შენიშნა და გზა განაგრძო. თაფლს მიკრული მისი ჩრდილი საბრალოდ ფარფატებდა და ამაოდ ცდილობდა გათავისუფლებას.

ამ დროს, სად იყო და სად არა, თაფლის წვეთთან ფუტკარი გაჩნდა. მან სასწრაფოდ შესვა თაფლი და პატიმარი გაათავისუფლა.

პეპელას ჩრდილმა მიმოიხედა და როცა თავისი პატრონი ვერ იგულა, ფუტკარს აედევნა. აბა ჩრდილი რისი ჩრდილია, თუ ვინმეს არ აედევნა.

ამაზე ფუტკრის ჩრდილი გაბრაზდა, თავის პატრონს ჩამორჩა და სხვასაც დაეკარგა და თავის თავსაც.

ფუტკარი სკასთან მიფრინდა. მან ჯერ არც კი იცოდა, რომ მას პეპელას ჩრდილი მოსდევდა. ეს მან მაშინ გაიგო, როდესაც სკაში არ შეუშვეს. უთხრეს:ჩვენს სკაში ისედაც სივიწროვეაო და მაგოდენა ჩრდილისათვის ადგილი სადღა გვექნებაო.

მაშინღა დახედა ჩრდილს ფუტკარმა და საკუთარი, წერტილივით ჩრდილის ნაცვლად თეთრი პეპელას უშველებელი ჩრდილი შერჩა.

გული დასწყდა ფუტკარს თავის პატარა ჩრდილზე. მათ ხომ ერთად მთელი სიცოცხლე გაატარეს.

იმედს მაინც არ კაეგავდა: ალბათ პეპელას ჩრდილში ჩემი პატარა ჩრდილი დამეკარგაო. დავუბრუნებ თეთრ პეპელას თავის ჩრდილს და ჩემი მე დამრჩებაო.

ფუტკარი შემობრუნდა და პეპელას დაუწყო ძებნა. მაგრამ ეზოში საშინელი არეულობა დახვდა:

თურმე ფუტკრის გაბრაზებულმა ჩრდილმა გოჭის ჩრდილს უკბინა (კბენა მან პატრონისაგან ისწავლა). გოჭის ჩრდილიც ჭყივილით გაიქცა (გოჭის ჩრდილმაც პატრონისაგან ისწავლა ჭყივილი) და დინგით გააგდო ინდაურის ჩრდილი. ინდაურის ჩრდილი წიწილას აედევნა. წიწილას ორი ჩრდილი აღმოაჩნდა. ციკნის, ბატკნის და ხბოს ჩრდილებმაც დატოვეს თავიანთი პატრონები და ისინიც წიწილას აედევნენ. მიდის წიწილა და მიათრევს ხუთ ჩრდილს. ძალიან უჭირს. ღონე ელევა. ქანცგალეული ეცემა მოლზე... ძაღლი დარბის ეზოში, უყეფს თავის ჩრდილს, სურს როგორმე გაექცეს მას, მაგრამ ჩრდილი თავქუდ-

მოგლეჯილი დასდევს პატრონს. ბოლოს მაინც დაუტოვა თავისი ჩრდილი თეთრ ყვავილს, ხოლო თვითონ თეთრი ყვავილის ჩრდილი გაიყოლია. უნდა გენახათ, როგორ განაზდა მურა. ის თითქოს თვითონ გახდა თეთრი ყვავილის ჩრდილის ჩრდილი. ცდილობდა მისთვის მიებაძა და მასავით ირწეოდა, აღარ იცოდა, რა ექნა. ხოლო თეთრ ყვავილთან დარჩენილი ძაღლის ჩრდილი ადგილიდან ვერ იძროდა, თითქოს დაჭედესო. მხოლოდ კოჭლი ანკარა ვერ შეელია თავის ერთგულ ჩრდილს. ანდა როგორ შეელეოდა, როდესაც იგი თავისივე ჩრდილზე მიხოხავდა.

კიდევ ერთ ჩრდილის ერთგულების ამბავს მოგახსენებთ. ყვინჩილის თავმოკვეთილი ჩრდილისას. ის იქ ხვდებოდა თავის პატრონს, სადაც დაეცემოდა. მოკლედ აირია ეზოს საქმე. ვისი ჩრდილი ვისთან იყო, ვერავინ გაიგებდა: თუთის ჩრდილი ალვისა გახდა, ალვისა — ლეღვის, ლეღვისა — კვიცის; ჭის ჩრდილიც კი სხვაგან წავიდა. ჭაში კი ისეთი ნათელი იდგა, თითქოს შიგ დღე ჩავარდნილიყო.

მხოლოდ პეპელა იჯდა ღობეზე და დარდობდა: ნეტა სად დავკარგე ჩემი ჩრდილიო.

როდესაც მათე ეზოში გამოვიდა, ჩრდილები უკვე თავისთვის დაჰქროდნენ, ხოლო მათი პატრონები — თავისთვის.

მათე ეზოს შუაგულისაკენ გაემართა და დადგა. მან უმწეოდ მიმოიხედა და ბოლოს თავის ჩრდილს დახედა: შეეშინდა, ვაი თუ მეც გამექცა ჩემი ჩრდილიო. მისი ჩრდილი მას ახლდა.

მათე ჩაფიქრდა. არ იცოდა, რა ეღონა. მან იცოდა, რომ ვერც ერთ ჩრდილს ვერ მოიხელთებდა.

მაშინ მათეს ჩრდილმა გადაწყვიტა ეშველა თავისი პატრონისათვის. მან, უპირველეს ყოვლისა, ანიშნა მათეს — მე მომანდე ჩრდილების მორეკვაო, ოღონდ შენ გამათავისუფლეო. მათემ გაათავისუფლა თავისი ჩრდილი და ისიც მოწყდა თავის პატრონს და დაედევნა აბეზარ ჩრდილებს. ყველა ისინი შერეკა ერთ უზარმაზარ ჩრდილში — მათეს სახლის ჩრდილში. მათეს ჩრდილი იქვე დადგა, რათა არც ერთი ჩრდილი იქიდან არ გამოპარულიყო.

მათეს უფრო გაუჭირდა უჩრდილო ცხოველებისა და ფრინველების შერეკვა სახლის ჩრდილში. ეს იმიტომ, რომ თავისი ჩრდილისაგან გათავისუფლებული სხეულები ისე განებივრდნენ, რომ მათი შეკრება ძალიან გაჭირდა.

ბოლოს, როგორც იქნა, მათემ ისინი სახლის ჩრდილში შერეკა. შერეკა და თავისი ჩრდილის მაგივრად დარაჯად დაუდგა ეზოს ბინადართ.

ახლა საჭირო იყო ყოველი მათგანი სათითაოდ გამოსულიყო სახლის ჩრდილიდან: ჯერ გამოვიდა მურა და მას გამოყვა მისი ჩრდილი.



მხატვარი **ბესო ხიდაშელი**



მურამ მოიხედა და როცა თავისი ჩრდილი იცნო, ჯერ შეუბღვირა, მაგრამ მერე მოლბა და თამაში დაუწყო.

მერე წიწილაც გამოხტა ჩრდილიდან. მას ჩრდილიც გამოჰყვა. წიწილას ისე ემსუბუქა თავისი ჩრდილი, რომ ეგონა, კვლავ უჩრდილოდ ვარო და ხტუნვახტუნვით განაგრძო გზა. უცებ მისი ჩრდილი მის წინ აღმოჩნდა. გუნება გაუფუჭდა და თავისი ჩრდილი უკან მოიგდო. ჩრდილი კი იმდენს ეცადა, რომ კვლავ მის წინ აღმოჩნდა. გაბრაზდა წიწილა და თავის ჩრდილს კორტნა დაუწყო, მაგრამ მაინცდამაინც თავისივე ნისკარტის ჩრდილის წვერს უკაკუნებდა. ეს მანამდე გაგრძელდა, სანამ ფეტვის მარცვალს არ წააწყდა, და იმ დღის შემდეგ, წიწილა თითქოს თავის ჩრდილს კორტნის, სინამდვილეში კი ფეტვის მარცვლებს ეძებს.

შემდეგ მოვიდა ჭუკის ჩრდილი. როდის-როდის იყო, მას გამოჰყვა თავად ჭუკი.

შემდეგ სახლის ჩრდილიდან გამოვიდნენ სხვები და თითოეულს მოჰყვებოდა თავისივე ჩრდილი.

ბოლოს გამოფრინდა ფუტკარი, რომელსაც თეთრი პეპელას ჩრდილი გამოჰყვა.

პეპელა კი ამ დროს კვლავ ღობეზე იჯდა და დარდობდა: სად დავკარგე ჩემი ჩრდილიო.

ფუტკარმა დაინახა ღობეზე მჯდარი დაღვრემილი პეპელა და გადაუფრინა. იცნო თუ არა პეპელას ჩრდილმა თავისი პატრონი, მყისვე მის ფრთებით მოიკალათა.

ახლა კი ფუტკარს წაუხდა გუნება. თავისი წერტილივით პატარა ჩრდილი მას პეპელას ჩრდილში დაკარგული ეგონა, მაგრამ ახლა ეს უკანასკნელი იმედიც გაუქრა. მიდი და ეძებე წერტილივით პატარა ჩრდილი ამოდენა ეზოში.

ფუტკრის ჩრდილის ძებნაში მთელი ეზო იღებდა მონაწილეობას. ეძებეს, ეძებეს და ვერ ნახეს. ბოლოს გოჭმა აღიარა: ფუტკრის ჩრდილმა ჩემს ჩრდილს უკბინა, გააგდო და მე ამედევნაო; მე გუბეში ჩავწექი და როდესაც გუბიდან ამოვედი, ფუტკრის ჩრდილი მე აღარ მახლდაო.

მივიდნენ გუბესთან. გუბე ჯერ ხმას არ იღებდა. მერე მანაც აღიარა, რომ ფუტკრის ჩრდილი მისი ჩრდილი გახდა. მას ეს ძალიან გაუხარდა, რადგან არასოდეს ჰქონია ჩრდილი, თუნდაც წერტილივით პატარა.

ამოათრიეს გუბიდან ფუტკრის გალუმპული ჩრდილი და მზეზე გაფინეს გასაშრობად, მაგრამ მას არ უნდოდა გამშრალიყო, ისე იყო გაბრაზებული. მას ეგონა, რომ ფუტკარმა ის პეპელას ჩრდილში გაცვალა.

ბოლოს, როგორც იქნა, დაარწმუნეს საბრალო, რომ ყველაფერში დამნაშავე თაფლის ერთი წვეთი იყო.

ასე გაშრა ფუტკრის ჩრდილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზამთრის ლექსი

**დალილა ბედიანიძე**

გაფრინდნენ ჩემი კაბიდან
ფრთებმოხატული პეპლები,
მიჰყვნენ ჩიტები სწრაფი და
ჭრიჭინობლები ეტლებით.
დღეც კაბასავით დამოკლდა,
ერთ დღეში ვეღარ ვეტევით.
მზეს ერთი წუთით თვალს მოჰკრავ
და მერე გარბის ფეთებით.
გაფრინდნენ ჩემი კაბიდან
ფრთებმოხატული პეპლები.
რა გინდა, გულო, რა გინდა?
საგულეში ვერ ეტევი?
ზაფხულო ჩემო, ხარხარა,
საითკენ მიერეკები?
ვარდმა ფურცელი დაყარა
და გამოუჩნდა ეკლები,
სიცივისაგან კანკალით
ერთურთს ეკვრიან სახლები...
ზამთარი მოდის, ზამთარი...
მოვა და — მეც აქ დავხვდები!





# გულდა

**ჯემალ მეტრეველი**

თოვლში გორავს
დათვის ბელი —
პაწაწინა გულდა.
გააკეთა ერთი, ორი,
სამი, ოთხი გუნდა.
რეკავს ზარი,
სკოლის ზარი:
კლასში შედი, გიჟობს,
უკვე სკოლის მოსწავლე ხარ,
დაგავიწყდა, ბიჭო?!

მხატვარი **ნანა სულემენაშვილი**



# შეჯიბრი

მერი ბოლქვაძე

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

ქალაქში საიდანღაც მომავალმა მატარებელმა დაგადუგით ჩამოიქროლა. — უუ! — დაიკივლა. ჩაქა-ჩუქით გაჩერდა, მგზავრები ჩამოსვა, — უუ! დაიკივლა ისევ, და ისევ გზა განაგრძო. მატარებლის კივილზე ქარხნების საყვირებმა ყურები ცქვიტეს: ჩვენ რა, მაგათზე ნაკლები ვართო, და გააბეს ბღუილი:

— ბღუ-უუ!

— ბღუ-უუ!

— პი-იი! — მისცეს ხმა მთელი ქალაქის ავტობუსებმა და მანქანებმაც, — ჩვენც შეგვიძლია, ცოტა თუ ბევრად ხმის ამოღებაო.

— პი-იი! — სულ პატარა მანქანებიც წვრილი ხმით აპიპინდნენ.

— პუ-უ, პუ-უუ! — გამოსძახეს ზღვაში გასულმა გემებმა. ყველანი აყვირდნენ ხმამაღლა და გაბმულად; ისეთი ამბავი ატყდა ქალაქში, ისეთი აურზაური, ყურთასმენა აღარ იყო.

— რა ამბავია, რა დაეცათ?

— ხანძარია?

— წყალდიდობაა?

— იქნებ ქორწილია?

გადაირია ხალხი; აღარ იცოდნენ, რა ეფიქრათ: ზოგს რა ეგონა და ზოგს რა. აივნებზე და ეზოებში გამოეფინენ, გაგებით კი ვერაფერი გაიგეს. აქეთ-იქით იყურებოდნენ, საგანგაშოს კი ვერაფერს ხედავდნენ. მარტო ბავშვები მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე: ჰერი, ბიჭო, რა კარგი გასართობია! — გამოცვივდნენ ეზოებში და თვითონაც აყვირდნენ:

— უუ-უ! — თან დახტოდნენ და ყირას გადადიოდნენ.

— რა გაყვირებთ, რა ამბავია, რა ხდება? — როგორც იყო გონს მოეგნენ დიდები.

— არაფერი, რა უნდა ხდებოდეს, ყვირილში ვეჯიბრებით ყველანი ერთმანეთს. — უპასუხეს მხიარულად ბავშვებმა და ყვირილი განაგრძეს.

— აი, მოცლილები, — შეჰყვირეს დიდებმა, — გაჩუმდით ეხლავე, საქმეში შეეჯიბრეთ ერთმანეთს. ისა სჯობია, დას-

ხდეთ და გაკვეთილები ისწავლოთ. თავები აგვტკივდა თქვენი ყვირილით, — ისე იყვნენ გაჯავრებულები, ისე ავად და ბრაზიანად უელავდათ თვალები, ბავშვებმა შეკამათება ვერ შეჰბედეს, გაიქცნენ და მაშინვე დიდი გულმოდგინებით ჩარგეს თავები წიგნებში. ესეც ასე: ბავშვები დიდებმა გააჩუმეს, ქარხნებს, ავტობუსებს, ტროლეიბუსებს, დიდ და პატარა მანქანებს კი ქალაქის წესრიგის დამცველებმა მოუარეს: სასტიკად აუკრძალეს ყვირილი დღეცა და ღამეც, მხოლოდ აუცილებელი საჭიროების დროს ჰქონდათ სიგნალის მიცემის უფლება. მატარებლებსა და გემებს კი, რამდენიც უნდოდათ ეყვირათ, რა! გემები ზღვაში ან ოკეანეში ეყარნენ დღე და ღამე და იქ ვის აატკივებდნენ თავს; მატარებლებსაც, ქალაქიდან ქალაქში მისვლამდე, ტყე და ღრე, ველები და მინდვრები უნდა გადაესერათ და იმ ტყეღრესა, ველებსა და მინდვრებში იმათი კივილი ვის რას ავნებდა?!

ამის შემდეგ ასეც არის. ოღონდ ბავშვები არ იშლიან მაინც თავისას: როცა ყვირილის ხასიათზე დგებიან, მაინც ყვირიან, ერთმანეთს ეჯიბრებიან.

— მოდი, აბა, ვინ უფრო ხმამაღლა იყვირებს? — იტყვის ერთი, — ცას ვინ მიაწვდენს ხმას?

— მოდი!

— მოდი!

— მოდი!

აჰყვებიან დანარჩენები და ცასა და დედამიწას აერთებს მათი ხმა. თუ დღეა — მზეს, მათი ხმის გაგონებაზე, სიცხით გავარვარებული სახიდან სულ უფრო მეტად, ბლუჯა-ბლუჯა სცვივა სიცილის კონები; თუ საღამოა, — მთვარე და ვარსკვლავები ჩამოცვენაზე არიან ციდან გადმოკიდებულნი; მაშინ კი თუ ცა ღრუბლებითაა დაფარული, ფართხაფურთხით ჩამორბიან ქვევით ხან წვიმები, ხან თოვლის ფიფქები, და პირდაპირ გაშლილ ხელებში უვარდებიან ბავშვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ამბავი

მზია აკობია — ძაძამია

ამბავია ახალი,
ამბავია ახალი:
ლევანიკო გამხდარა
ორი გოჯით მაღალი.
გაიოცა მურიამ,
გაიოცა მამალმა...
გაკვირვება თავისი
ვეღარც კვიცმა დამალა;
როცა ახედ-დახედა,
ერთი დაიჭიხვინა:
— დასტურ, ჩვენმა თვალებმა
რა დევკაცი იხილა!
„დევკაციო“? — მთას იქით
გაიოცეს დევებმა,
აბა, ახლა წამოვალთ,
ლეოს უნდა შევებათ!
აკაკანდა კაკაბი,
აკრიახდა კაჭკაჭი.
— სად მიდიხართ, დევებო,
არ დაჩაგროთ ვაჟკაცი!
ახლა რა დროს შებმაა,
ცოტას ვეღარ დაიცდით?
ჯერ სულ ერთი წლისაა,
სიარულიც არ იცის!



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



# ქეთევანი

ვახტანგ ახვლედიანი

ექვსი წლისაა ქეთევანი.

თავიდანვე უნდა გითხრათ, სასტიკად არ მოსწონს, ქეთინოს ან ქეთის რომ დაუძახებენ, მაშინვე გაებუსხება ქვედა ტუჩი, მოექუფრება წარბები და ჩაიბურტყუნებს: — მე ქეთევანი მქვია!

გულკეთილი და მგრძნობიარე გოგონაა. ზოგჯერ ღრმად ჩაფიქრება იცის. ზის ასე თავისთვის, ზის, ზის... მერე ისევ აკისკისდება და სახლს წკრიალა ხმით გაავსებს.

რა მკითხეთ... ლამაზი თუა? ვინა, ქეთევანი?!

ლამაზია და მერე როგორი!

დიდი თვალები აქვს... ადრიან გაზაფხულზე ხასხასა ბალახი რომ ამოვა კორდზე და აბიბინდება, აი, ისეთი. თუ მხიარულ გუნებაზეა, ხშირად ახამხამებს წამწამებს. მაშინ მის თვალებში ნამდვილი ფერხული აქვთ ჭინკებს. მოიწყენს და, ჩააფენს წამწამებს, მოიბუზება თვითონაც...

თმა მზისფერი აქვს, ორ კიკინად შეკრული ყურებთან, ბაფთები ცისფერი უყვარს. ცისფერი და ფართო. გეგონება, პეპლები ასხედანო მხრებზე და ახლა, ფრთები რომ აიქნიონ, აფრინდებიან და ქეთევანსაც აიტაცებენ ჰაერშიო. ამას იმიტომ გაიფიქრებ, რომ ბაფთები დიდია, ქეთევანი კი პატარაა, გამხდარი, სიფრიფანა-სიფრიფანა...

ერთხელ დედამისი მეუბნება: — იცით რატომ არის ასეთი?

— რატომ?

— ფაფასთან უკაცრავადაა და იმიტომ.

არც კარაქი უყვარს თურმე. რაო? აბა, რა უყვარს? რა და, თამაში. თამაში და ხატვა. საერთოდ ღია ფერებში ხატავს ყველაფერს, განსაკუთრებით ცისფერი უყვარს და ნარინჯისფერი. უჰ, რა სინათლე და სიმსუბუქეა მის ნახატებში! ამ ფერებით ხატავს იგი დედას, მამას, ბებოს, დეიდა ნატოს, უმცროს ძმას — მამუკას და თავის ფუმფულა ფისოსაც...

ერთ საღამოს ძალიან მოიწყინა ქეთევანმა, მერე გაიგებ, — რატომ. მეორე დილით კი, წამოდგა თუ არა, ფანჯარასთან მოიკალათა, ციცქნა თითებში ნიკაპი ჩარგო, იდაყვებით რაფას დაეყრდნო და ნაღვლიანად მიაჩერდა სივრცეს... ცოტა ხანს მერე ფრთხილად ჩამოვიდა სკამიდან, უჯრიდან სახატავი ფანქრები ამოალაგა, ჩაფიქრდა და ხატვას შეუდგა...

მამა შინ გვიან დაბრუნდა და მაგიდაზე თავისი პორტრეტი დაინახა — უჩვეულოდ მუქ ფერებში დაეხატა მამა ქეთევანს; ერთხანს შემცბარი დააცქერდა ნახატს, მერე მეორე ოთახში გავიდა, ფიქრებში გახვეულ დედას მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— მაპატიე... გუშინ რომ გაწყენინე, მაპატიე, ძვირფასო!

...და უცებ ორივეს მოეჩვენა, თითქოს მძინარე ქეთევანს ღიმილმა გადაურბინა სახეზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კერკეტი კაკლები

## თოვლის გუნდა იწვის

აიღეთ თოვლის გუნდა, აჩვენეთ მაყურებელთ და მოუკიდეთ წუმწუმა; გაკვირვებული მაყურებელი დაინახავს, როგორ მოედება ცეცხლი თოვლის გუნდას.

ახსნა. პატარა ქაფურის ნატეხი ჩასდეთ თოვლის გუნდაში. წუმწუმა უცბად ცეცხლს გაუჩენს ქაფურს, რომლის ალშიაც გაეხვევა თოვლის გუნდა. მაყურებელთ კი ეგონებათ, თოვლის გუნდა იწვისო.

„ნაკადული", 1910 წ. №1

(ენის სალესი)

## საახალწლო

**გიორგი წერეთელი**

თაფლ-ნიგოზი
გოზვით,
ნაყვით,
რომ მოზილა
გოგო ზინამ,
მოვციმზადა
. . . . . . . .
ყელი ჩავი-
კოკლოზინა.

მხატვარი **გიორგი როინიშვილი**


# დილა

საქართველოს ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი უმცროსკლასელთათვის.

გამოდის 1904 წლიდან.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა.

მთავარი რედაქტორი
ენვერ ნიჟარაძე

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამბოკაძე, მანანა ანთაძე, ლამარა გაბუა, სესილ გოგიბერიძე, მერი დავითაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, ლეილა ერაძე, ბელა ლოსაბერიძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯუხა ნადირაძე, გიორგი როინიშვილი (სამხატვრო რედაქტორი) თენგიზ ჩალაური (პ/მგ. მდივანი), გივი ძნელაძე, გივი ჭიჭინაძე.

ტექნიკური რედაქტორი
ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის 14. ტელ: მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-15; პ/მგ. მდივნის 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის—93-98-18; განყოფილებების 93-98-19.

გადაეცა ასაწყობად 21.11.88 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.12.88 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5. ტირაჟი 168.000, შეკვეთა №2953

ყდაზე ნახატი
ზაურ დეისაძისა

«Дила» («Утро») — ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина, для младшеклассников, на грузинском языке.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.
Главный редактор Энвер Нижарадзе (тел. 93-41-30).
Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси ул. Ленина, 14.
Объём 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ №2953


ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 20 კაპ.

685/25

ინდექსი 76055

ეროვნული ბიბლიოთეკა



**მაყვალა მრევლიშვილი**

მადლი გამჩენს და
          დიდება
და ჩემს სამშობლო-სახატეს!
ძმობა-სიკეთის სხივებად
შემობრძანებულ ახალ წელს!